



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
"ლუკა"

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	4	15 929 395	18 430 071
სხვა შემოსავლები	5	280 042	259 120
შესრულებული კაპიტალიზებული სამუშაოები	6	236 090	(31 272)
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		492 117	454 126
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა		(12 442 163)	(14 656 080)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(976 831)	(1 073 809)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(662 556)	(656 582)
შემენილი მომსახურების ხარჯი	7	(423 431)	(529 607)
საგადასახადო ხარჯი		(41 924)	(43 563)
საკურსო სხვაობის ხარჯი		(945 516)	(110 332)
სხვა ხარჯი	8	(171 476)	(199 090)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		1 273 746	1 842 982
ფინანსური ხარჯი		(150 289)	(384 038)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		1 123 457	1 458 944
მოგების გადასახადი		(36 460)	(50 108)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		1 086 998	1 408 837
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის დასაწყისში		7 592 279	6 830 554
წინა პერიოდის შეცდომების შესწორება		-	367
წლის განმავლობაში გადახადილი დივიდენდი		(476 167)	(647 479)
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი წლის ბოლოს		8 203 109	7 592 279

დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე

მთ. ბუღალტერი გიორგი დათუაშვილი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	9	337 155	341 881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1 238 958	1 026 231
საგადასახადო მოთხოვნები	11	236 273	254 865
მარაგი	12	5 805 841	5 313 723
სულ მიმდინარე აქტივები		7 618 227	6 936 701
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	5 522 338	4 655 269
არამატერიალური აქტივები	14	654	654
სულ გრძელვადიანი აქტივი		5 522 992	4 655 924
სულ აქტივები		13 141 219	11 592 624
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	300 274	770 138
საგადასახადო ვალდებულებები	16	7 690	25 704
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		307 965	795 841
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხი	18	4 629 945	3 204 304
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4 629 945	3 204 304
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		8 203 109	7 592 279
სულ საკუთარი კაპიტალი		8 203 309	7 592 479
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		13 141 219	11 592 624

დირექტორი: ბადრი ჩხიკვაძე



ბუღალტერი: გიორგი დათუაშვილი

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	17 989 022	21 114 421
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(13 559 762)	(14 987 420)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(697 360)	(811 528)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	3 731 901	5 315 473
გადახდილი გადასახდები	(2 504 069)	(3 406 810)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1 227 832	1 908 663
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(1 203 654)	(318 107)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	-	118 328
მიღებული საპროცენტო შემოსავლები	9 471	2 068
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	(452 158)	(263 000)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 646 341)	(460 711)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	4 621 750	3 464 216
სესხის დაფარვა	(4 075 597)	(4 473 176)
სესხის პროცენტის დაფარვა	(150 289)	(384 038)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	63 479	10 874
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(45 560)	(12 178)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	413 783	(1 394 302)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	(4 727)	53 650
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	341 881	325 466
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	337 154	341 881

დირექტორი

ბადრი ჩხიკვაძე

მთ. ბუღალტერი

გიორგი დათუაშვილი



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლუკა“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2011 წლის 31 მარტიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 445395796, იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, ბაგრატიონის N112/მელიქიშვილის ქ. N98, ხოლო ფაქტიური ქ. ბათუმი გ. ბრწყინვალეს ქ. # 20.

საწარმოს პარტნიორი და 100%-ის წილის მფლობელია 5 ფიზიკური პირი, საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული აქვს 200 ლარით, რაც თავის მხრივ შევსებული აქვს სრულყოფილად და დამფუძნებლებს კაპიტალის შევსების ვალდებულება არ აკისრია. საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორების წილობრივი მდგომარეობა შემდეგია:

№	საწარმოს წილობრივი ხასიათი	ბენეფიციარი მესაკუთრე	წილი %
1	ჩვეულებრივი მოწილე/პარტნიორი	ჯაბა ქურიძე	10%
2	ჩვეულებრივი მოწილე/პარტნიორი	ბადრი ჩხიკვაძე	30%
3	ჩვეულებრივი მოწილე/პარტნიორი	ნანული ბიბილეიშვილი	45%
4	ჩვეულებრივი მოწილე/პარტნიორი	ირაკლი ანუშიძე	5%
5	ჩვეულებრივი მოწილე/პარტნიორი	დავით ქურიძე	10%

საწარმოს ძირითადი საქმიანობა არის საამშენებლო მასალებისა და საამშენებლო კონსტრუქციების წარმოება და მიწოდება, ასევე თავის სავაჭრო დარბაზების მეშვეობით საამშენებლო ინდუსტრიული და სხვა სამრეწველო საქონლის წარმოება, შეძენა და რეალიზაცია საბითუმოდ და საცალოდ, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს, აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საწარმო მარაგის და სხვა საქონლის შეძენა-რეალიზაციას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობით. საწარმო უფლებამოსილია განხორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა. საქმიანობა რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება ახორციელებს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2020 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განხორციელებულია საწარმოს სრული შემოსავლებისა და

გაუნაწილებელი მოგების ანაგარიშგებაში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის; პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა განმარტებით შენიშვნებში მოტანილია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ით.

ბიზნეს გარემო საქართველოში

საწარმოს საქმიანობა ვაჭრობა-მომსახურების ნაწილში არ რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. მომზადების საფუძველი

საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმო ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად იყენებს საქართველოში მოქმედ ეროვნულ ვალუტას „ლარს“. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი რიცხვების სიზუსტის ხარისხი დაყვანილია „ლარამდე“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

სამეურნეო ოპერაციების შეფასებისას გამოყენებულია პირვანდელი ღირებულებით შეფასების მეთოდი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი არსებითად არაა განსხვავებული იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც საწარმოს გამოყენებული ჰქონდა წინა საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა, ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

თუ პრაქტიკულად მომსახურების გაწევა ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება, როგორც ამონაგები და ხარჯი, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საგადასახადო კანონმდებლობით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წელს დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი მუხლების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი გაცვლითი კურსით, კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც იჯარის პირობებით გათვალისწინებულია იჯარით აღებული აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის ძირეული გადასვლა საწარმოზე. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

➤ შენობა-ნაგებობები	- 5%
➤ მანქანა-დანადგარები	- 10-15%
➤ საოფისე აღჭურვილობა	- 20-30%
➤ ავეჯი და მოწყობილობები	- 14-20%
➤ სატრანსპორტო საშუალებები	- 10-20%
➤ სხვა ძირითადი საშუალებები	- 5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე: პროგრამული უზრუნველყოფისათვის - მათი გამოყენების ვადის საფუძველზე 15% განაკვეთით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა

აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჩვეულებრივ სავაჭრო მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია ცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ეროვნულ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენტან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას.

ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

დივიდენდები

საწარმოს შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს. წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

4. ამონაგები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	15 757 315	18 375 661	
2 შემოსავალი მომსახურებიდან	172 079	54 410	
3 სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-	
ამონაგები მიწოდებიდან	15 929 395	18 430 071	

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით ე.ი. მესამე პირის სახელით ამოღებული თანხების (დღგ) გარეშე.

5. სხვა შემოსავლები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 საპროცენტო შემოსავალი	9 471	2 068	
2 შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან	103 892	20 396	
3 ჯარის რეალიზაცია	5 445	5 762	
4 ივენტარიზაციიდან მიღებული შემოსავალი	98 579	84 668	
5 სხვა შემოსავლები	62 653	146 227	
ამონაგები მიწოდებიდან	280 042	259 120	

სხვა შემოსავლების სახით საწარმოს გაერთიანებული აქვს კრედიტორული დავალიანების ჩამოწერით მიღებულისარგებელი და სავალუტო საკურსო სხვაობით მიღებული ნეტო შემოსავალი.

6. კაპიტალიზებული შემოსავლები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 კაპიტალიზებული მარაგი	236 090	31 272	
2 შეძენილი მომსახურება	-	-	
3 ხელფასი და სხვა განაცემების ხარჯი	-	-	
სრული კაპიტალიზაცია	236 090	31 272	

7. შეძენილი მომსახურების ხარჯები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 ბანკის ხარჯი	30 926	29 652	
2 საიჯარო ხარჯი	-	32 047	
3 კომპიუტერული ხარჯი	2 100	823	
4 კომუნიკაციის ხარჯი	11 564	11 971	
5 დაზღვევის ხარჯი	45 815	39 950	
6 საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	23 305	45 424	
7 კომუნალური ხარჯი	41 244	36 138	
8 რეკლამის ხარჯი	1 771	6 003	
9 ტრანსპორტის ხარჯი	14 497	42 486	
10 მივლინების ხარჯი	120 503	188 443	
11 სამეურნეო ხარჯი	11 796	11 007	
12 სხვა საერთო ხარჯი	143 214	85 663	
ჯამი:	446 736	529 607	

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის.

8. სხვა ხარჯები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 წარმომადგენლობითი ხარჯი	-	-	
2 ძირითადი საშუალების გასვლის შედეგი	-	-	
3 საექსპლუატაციო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი	36 769	22 465	
4 ვალის პატივებიდან წარმოშობილი ხარჯი	-	12 113	
5 სხვა ხარჯი	111 401	164 512	
ჯამი:	148 171	34 578	

9. ფულადი სახსრები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	115 961	204 292	
2 ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა	68 931	6 126	
3 ფული საღარიბოში	152 263	131 463	
ჯამი:	337 155	341 881	

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საწარმოს ფულადი სახსრების უმეტესობა, მიუხედავად საცალო ქსელში არსებული ნაღდი ფულის ნაშთისა, განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 სავაჭრო დებიტორები	1 031 844	636 800	
2 გაუფასურების ზარალის თანხა	-	-	
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	1 031 844	636 800	
4 მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	-	-	
- სხვა მხარეებისაგან მისაღები	1 031 844	636 800	
5 წინასწარი გადახდები	207 114	389 431	
6 მოთხოვნები დარიცხული შემოსავლებიდან	-	-	
ჯამი:	1 238 958	1 026 231	

ზემოთ აღნიშნული მუხლი მოიცავს მოთხოვნებს, რომელთა დაფარვის ვადა მომდევნო წელს იჭრება. სავაჭრო მოთხოვნები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საექსპლუატაციო მოთხოვნების (რეზერვის) გამოკლებით.

11. საგადასახადო მოთხოვნები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 მოგების გადასახადი	-	-	
2 საშემოსავლო გადასახადი	-	-	
3 დღე	211 936	200 472	
4 ქონების გადასახადი	1 773	-	
5 მიწის გადასახადი	-	-	
ბიუჯეტის ერთიანი ანგარიში	22 564	54 393	
ჯამი:	236 273	254 865	

12. მარაგი			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 ნედლეული და მასალები	5 805 841	5 308 159	
2 სხვა მარაგი	2 307	5 564	
ჯამი	5 808 147	5 313 723	
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	-	11 713 956	14 233 226

13. ძირითადი საშუალებები									
დასახელება	მიწა	ლაპტოპები	მეწიხები	ნაგებობები	მანქანა	ოფისის	ავტო და სხვა	სხვა მოძღვრებით	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება									
ნაშთი: 31.12.2019	813543	0	2165502	3559	2114718	127814	122909	1663441	7011485
აქტივების შეძენა	645305	266343	0	6512	51194	60054	113045	512676	1655128
აქტივების გასვლა	0	0	0	0	0	0	-29636	-168153	-197789
ნაშთი: 31.12.2020	1458847	266343	2165502	10071	2165912	187868	206318	2007963	8468824
ადიარებული ცვლადი									
ნაშთი: 31.12.2019	0	0	307118	3314	1318426	73751	47843	605764	2356216
ცვლითის დარიცხვა	0	0	74847	0	250762	15317	26056	303914	670895
ცვლითის ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	-9173	-71452	-80625
ნაშთი: 31.12.2020	0	0	381965	3314	1569188	89068	64726	838226	2946486
საბალანსო ღირებულება									
სნდ-31.12.2019	813543	0	1858383	246	796292	54063	75066	1057676	4655269
სნდ-31.12.2020	1458847	266343	1783536	6757	596724	98800	141593	1169737	5522338
ძირითადი საშუალებების ცვლადი დარიცხვითა წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვლითის თანხის გამოკლებით.									

საწარმოს საბანკო სესხის საგარანტიოდ სს „თი ბი სი ბანკის“ მიერ იპოტეკით დატვირთული აქვს 2019 წლის ბოლოსათვის ბალანსზე არსებული არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ქონება, აღნიშნული ქონება რეგისტრირებულია რეესტრში.

14. არამატერიალური აქტივები				
აქტივის დასახელება	31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	31.12.2019
შექმნის ღირებულება				
1 საბუღ. პროგ. „ორისი“	851.33	0	0	851.33
2 საბუღ. პროგ. „ფინა“	1059.32			1059.32
3 ჯგუფური პრაქტიკის	1700			1700
ჯამი	3610.65	0	0	3610.65
ამორტიზაცია	31.12.2020	დარიცხვა	ჩამოწერა	31.12.2019
1 საბუღ. პროგ. „ორისი“	666.89	0	0	666.89
2 საბუღ. პროგ. „ფინა“	832.32	0	0	832.32
3 ჯგუფური პრაქტიკის	1457.16		0	1457.16
ჯამი	2956.37	0	0	2956.37
საბალანსო ღირებულება	654	0	0	654
არამატერიალური აქტივების ცვლადი დარიცხვითა წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვლითის თანხის გამოკლებით.				

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი
1 სავაჭრო ვალდებულებები - რეზიდენტი საწარმოები	202 560	200 740
2 სავაჭრო ვალდებულებები - არარეზიდენტი საწარმოები	13 450	11 312
3 მიღებული ავანსები	44 982	94 982
ჯამი:	260 993	307 034

16. საგადასახადო ვალდებულებები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 მოგების გადასახადი	4 725	9 853	
2 საშემოსავლო გადასახადი	654	653	
4 ქონების გადასახადი	-	129	
5 მიწის გადასახადი	2 312	2 177	
ჯამი:	7 690	12 812	

17. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები			
დასახელება	ნაშთი 2020 წელი	ნაშთი 2019 წელი	
1 ვალდებულებები დაქირავებულ პერსონალთან	-	-	
2 ანგარიშვალდებული პირები	39 282	410 662	
3 გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი *	-	-	
4 სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	-	
ჯამი:	39 282	410 662	

18. კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საწარმოს მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ისე, რომ კვლავ შეძლოს მესაკუთრეებისათვის მოგების მიცემა.

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ლუკა“-ს დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 31 დეკემბერი.